

შპს ინექსფონი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
5. სავაჭრო მოთხოვნები	14
6. სასესხო ვალდებულებები	14
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	14
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23 (გადაანგარიშებული)	31-12-22 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	9,105	29,509	35,901
სასაქონლო მატერიალური მარაგები		77,479	76,452	79,453
სავაჭრო მოთხოვნები	5	730,209	554,291	569,822
გადახდილი ავანსები		18,203	20,420	16,511
გაცემული სესხები		-	-	90,789
სულ მოკლევადიანი აქტივები		834,996	680,672	792,476
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		93,878	81,626	104,883
ინვესტიციები		33,200	-	-
სულ გრძელევადიანი აქტივები		127,078	81,626	104,883
სულ აქტივები		962,074	762,298	897,359
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		132,464	2,279	5,486
მიღებული ავანსები		-	60,198	92,049
საგადასახადო ვალდებულებები		210,397	110,966	58,551
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	6	230,000	-	87,607
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		53,850	71,865	64,020
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		626,711	245,308	307,713
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები		38,339	112,217	106,817
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		38,339	112,217	106,817
სულ ვალდებულებები		665,050	357,525	414,530
საკუთარი კაპიტალი				
დაგროვილი მოგება		297,024	404,773	482,829
სულ საკუთარი კაპიტალი		297,024	404,773	482,829
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		962,074	762,298	897,359

დირექტორი -----

რატი ახვლედიანი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 (გადაანგარიშებული)	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	2,814,577	2,382,124
რეალიზაციის დანახარჯები	7	(463,803)	(423,327)
საერთო მოგება/ზარალი		2,350,774	1,958,797
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(427,406)	(415,075)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(1,981,557)	(1,597,240)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(18,990)	(17,900)
სხვა შემოსავლები		73,723	38,595
სხვა ხარჯები		(80,319)	(36,227)
მოგება/ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(83,775)	(69,050)
საპროცენტო შემოსავალი		-	8,199
საპროცენტო ხარჯი		(23,736)	(16,257)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(107,511)	(77,108)
მოგების გადასახადი		(238)	(948)
წმინდა ზარალი		(107,749)	(78,056)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	482,829	482,829
წმინდა ზარალი	(78,056)	(78,056)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	404,773	404,773
წმინდა ზარალი	(107,749)	(107,749)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	297,024	297,024

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინექსფონი დაფუძნდა 2007 წლის 13 დეკემბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., №28.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 204545000.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ შპს სოულ პარტნერს (ს/ნ: 405535087) 25%, შპს ქეთევან ქართველიშვილი (ს/ნ: 405493381) 15% და შპს კეიჯი (ს/ნ: 402090018) 60%.

კომპანიის მმართველობას წარმოადგენენ გენერალური დირექტორი რატი ახვლედიანი (პ/ნ: 01024074068) და კომერციული დირექტორი მარიამ კაკაბაძე (პ/ნ: 01008047999).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურება. მომსახურებას უწევს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2024 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	81,627	104,881	101,518
საინვესტიციო ქონება	-	-	-
არამატერიალური აქტივი	-	-	-
გუდვილი	-	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	244,616
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
	81,627	104,881	346,134
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	29,508	35,901	80,281
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	413,324	510,312	496,965
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	75,000	78,431
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა მარაგები	76,026	79,478	79,828
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	-	15,789	41,539
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	138,807	142,884	66,956
	657,665	859,364	843,999
მთლიანი აქტივები	739,292	964,244	1,190,133
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	404,434	483,252	989,450
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
	404,434	483,252	989,450

გალდებულებები**ბრძელგადიანი გალდებულებები**

გრძელვადიანი სესხები	112,217	106,817	-
გადავადებული შემოსავალი	-	-	-
ანარიცხები	-	-	-

2

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
	112,217	106,817	-
მოკლევადიანი გალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	111,603	227,890	167,936
მოკლევადიანი სესხები	-	77,753	100,000
საგადასახადო ვალდებულებები	110,972	58,612	(67,253)
გადასახდელი პროცენტი	65	9,919	-
გადასახდელი დივიდენდი	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
	222,640	374,175	200,683
მთლიანი გალდებულებები	334,858	480,992	200,683
მთლიანი კაპიტალი & გალდებულებები	739,292	964,244	1,190,133

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

მოგება-ზარალის ანგარიშგება	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	-	-	-
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2,382,135	1,742,400	1,841,691
ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-	-
სხვა ამონაგები	-	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(38,089)	(10,244)	(58,624)
სამართო მოგება	2,344,046	1,732,156	1,783,067

შპს ინექსფონი

8

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

სხვა შემოსავლები	38,637	26,316	43,516
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,560,378)	(1,007,020)	(892,101)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(17,900)	(14,047)	(24,789)
საპროცენტო შემოსავალი	8,199	14,250	30,088
საპროცენტო ხარჯი	(16,257)	(28,223)	(6,107)
იჯარის ხარჯი	(87,333)	(70,235)	(135,405)
ადმინისტრაციული ხარჯი	(748,639)	(817,443)	(713,604)
მიწოდების დანახარჯები	-	-	(3,503)
სხვა ხარჯები	(38,245)	(91,622)	(72,125)
საოპერაციო მოგება	(77,871)	(255,868)	9,037

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	-	-	-
და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-	-
მოგება დაბეზვრამდე	(77,871)	(255,868)	9,037

მოგების გადასახადი	(948)	(330)	-
პერიოდის მოგება	(78,818)	(256,198)	9,037
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	-	-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
4			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	(78,818)	(256,198)	9,037

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	საშესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მომგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	985,413	985,413
მოგება წლის ბოლოს	-	-	9,037	9,037
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	9,037	9,037
გაცემული დივიდენდი	-	-	(5,000)	(5,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	989,450	989,450
მოგება წლის ბოლოს	-	-	(256,198)	(256,198)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(256,198)	(256,198)
გაცემული დივიდენდი	-	-	(250,000)	(250,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	483,252	483,252
მოგება წლის ბოლოს	-	-	(78,818)	(78,818)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(78,818)	(78,818)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	404,434	404,434

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	10
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი

ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები (ნასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში

ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის

დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	4,206	26,323
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	4,899	3,186
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	9,105	29,509

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-24	31-12-23
იურიდიული პირები	597,872	521,665
ფიზიკური პირები	132,337	32,626
სულ სავაჭრო მოთხოვნები	730,209	554,291

6. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება სამი რეზიდენტი იურიდიული პირისგან ეროვნულ ვალუტაში აღებული სესხებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 230,000 ლარიანი სასესხო ვალდებულების ნაშთი იყოფა 100,000 ლარი, 90,000 ლარი და 40,000 ლარიან სესხებად

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურება.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი, საიდანაც:	2,814,577	2,382,124
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	2,814,577	2,382,124
თვითღირებულება:	(463,803)	(423,327)
მიღებული მომსახურება	(451,781)	(385,664)
მასალების დანახარჯი	(12,022)	(37,663)
საერთო მოგება	2,350,774	1,958,797

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
მარკეტინგული ხარჯი	99,269	49,487
რემონტის ხარჯი	88,226	23,535
იჯარის ხარჯი	41,720	87,333
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	30,315	44,175
საკანცელარიო ხარჯი	18,567	27,888
კომუნალური ხარჯი	16,382	25,067
წარმომადგენლობითი ხარჯი	6,030	3,727
საბანკო ხარჯი	3,612	2,850
მივლინების ხარჯი	2,712	48,755
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	120,574	102,256
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	427,406	415,075

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	1,942,444	1,560,378
საპენსიო და სხვა სარგებელი	39,113	36,862
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	1,981,557	1,597,240

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 162,850 ლარი, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 117,003 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

დირექტორი:

რატი ახვლედიანი

